კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი

პროფესორი ალექსანდრე კაციტაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნინო ცისკარიშვილი

ასოცირებული პროფესორი მაია მათოშვილი

ასოცირებული პროფესორი ნატო კორსანტია

კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი

კანისა და ვენერიულ სნეულებათა კათედრა დაარსდა 1920 წელს სახელწოდებით “კანისა და ვენერიულ სნეულებათა კათედრა კლინიკით”.

კათედრის გამგეები იყვნენ:

პროფესორი გრიგოლ მუხაძე (1920-1922, 1924-1925), მედიცინის დოქტორი ივანე ღულაძე (1922-1924), პროფესორი ვლადიმერ ბურგსდორფი (1925-1931), უფროსი ასისტენტი ალექსანდრე ჯავრიშვილი (1931), პროფესორი პეტრე ბუაჩიძე (1931-1969), საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი დავით საყვარელიძე (1970- 1999). ამჟამად დეპარტამენტის ხელმძღვანელია, პროფესორი ალექსანდრე კაციტაძე (1999-დღემდე).

კათედრაზე ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობდა ფსორიაზის, პემფიგუსის, ეგზემის, პროფესიული დერმატოზების, თმის ბუდობრივი ცვენის ეტიოლოგიის და პათოგენეზის კვლევა, მათი მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავება. დეპარტამენტმა საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ ქსელში დანერგა დერმატოსკოპიული კვლევის, მუნის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის, კანის ალერგიული სინჯების , სიფილისის თანამედროვე დიაგნოსტიკის და მკურნალობის, ვიტილოიგოს მკურნალობაში ფოტოთერაპიის მეთოდები. პროფესორმა ალექსანდრე კაციტაძემ შეიმუშავა დარგობრივი რეზიდენტურის სასწავლო პროგრამა და მისი ხელძღვანელობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დაინერგა რეზიდენტების მომზადება. დეპარტამენტში მომზადდა მედიცინის მეცნიერებათა 3 დოქტორი, მედიცინის აკადემიური 25 დოქტორი, 70-მდე რეზიდენტი, რომლებიც ამჟამად დასაქმებულნი არიან საქართველოს წამყვან კლინიკებში. დეპარტამენტი აქტიურად ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში,გამოქვეყნებულია 250 -მდე სამეცნიერო ნაშრომი. კათედრაზე პირველად შემუშავდა სასწავლო პროგრამა დერმატო-კოსმეტოლოგიაში. დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ, სამეცნიერო დაწესებულებებთან როგორიცაა,საქართველოს ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, მორფოლოგიის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი და სხვა. დეპარტამენტის ხელძღვანელობით ჩატარდა რამოდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია .

ამჟამად დეპარტამენტი ახორციელებს შემდეგ სასწავლო პროგრამებს: დიპლომამდელი სასწავლო კურსი “დერმატოლოგია და ვენეროლოგია” მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინის,ექთნის და ბებიაქალის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის; სარეზიდენტო პროგრამა – “დერმატოლოგია და ვენეროლოგია”,გადამზადების პროგრამა – “დერმატოვენეროლოგია” შინაგანი მედიცინისა და მისი მომიჯნავე სპეციალობების ექიმთათვის, რეაბილიტაციის პროგრამები დერმატოვენეროლოგებისათვის. კანისა და ვენერიული დაავადებები; კანისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, კლინიკური დერმატოლოგიის საფუძვლები იშვიათი და ატიპიური დერმატოზები; დერმატო-კოსმეტოლოგია.

კათედრის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ქავანა და ინფექციური დერმატოზების პათოგენეზი და მკურნალობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მკურნალობა და პრევენცია, დერმატოონკოლოგია და დერმატოსკოპია, ტრიქოლოგია, ორსულთა დერმატოზები, იშვიათი და ატიპიური დერმატოზები, დერმატოკოსმეტოლოგია, ქრონიკულ დერმატოზებისა და ინფექციურ დაავადებების ურთიერთკავშირის აქტუალურ თემებზე.
პედაგოგიური პერსონალი:

დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სრული პროფესორი, ალექსანდრე კაციტაძე, ა.შ.შ-ს დერმატოლოგიის აკადემიის წევრი. ასოცირებული პროფესორები - ნინო ცისკარიშვილი, ევროპის დერმატოლოგიის აკადემიის წევრი. ნატო კორსანტია, დერმატოსკოპიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი.მაია მათოშვილი ევროპის დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციისწევრი.დერმატოსკოპიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი.მოწვეული პედაგოგები არიან: ნინო ადამაშვილი, თეა კაციტაძე.